Amphibolin

უნივერსალური საღებავი სუფთა აკრილატის ფუძეზე - მრავალფუნქციური გამოყენებით.

პროდუქტის აღწერა

გამოყენების სფეროები

მრავალფუნქციური ფასადის და ინტერიერის საღებავი. მინიმალური ემისიით და მაღალი ადჰეზიურობით, არ შეიცავს გამხსნელებს, იცავს ზედაპირს - გარემოს აგრესიული ზემოქმედებისგან. გამოდგება თითქმის ყველა სახის ზედაპირისათვის.

გარე სამუშაოებისას: გამოიყენება შემდეგი ზედაპირების დასაფარად: PII და PIII-ის ჯგუფის ცემენტის ხსნარის მინერალური ბათქაში, ბეტონი, აგურ/კრამიტი, ბოჭკოვანი ცემენტის ფილები, მზიდუნარიანი ძველი დანაფარები, მოთუთიებული ზედაპირები, მყარი პოლივინილ ქლორიდი. არ არის განკუთვნილი თბოსაიზოლაციო სისტემებთან მუშაობისთვის.

შიდა სამუშაოებისას: მაღალი ცვეთამედეგობის, სტრუქტურის შემანარჩუნებელი დანაფარის შესაქმნელად, განსაკუთრებით დიდი დატვირთვის მქონე Capaver-ის მინა- შპალერებზე. სინათლის არეკვლის კარგი უნარის გამო საუკეთესო არჩევანია სუსტი განათების მქონე დერეფნების, კიბის უჯრედების, სათავსოებისათვის, სახელოსნოებისათვის და მიწისქვეშა ავტოსადგომებისათვის. კარგად ირეცხება წყლით და არის მადეზინფიცირებელი საშუალებების მიმართ მედეგი.

თვისებები

- მინიმალური ემისია (გაფრქვევა), არ შეიცავს გამხსნელებს
- არ შეიცავს დაორთქლების ხელშემწყობ და აქტიურად ცარცვად ნივთიერებებს
- სველი მოხეხვისადმი მედეგობა - კლასი 1, DIN EN 13300 -ის შესაბამისად
- ძლიერი დაცვა კლიმატური ზემოქმედებისადმი
- წყლის სადეზინფექციო და საყოფაცხოვრებო საწმენდი საშუალებების მიმართ მედეგი

მასალის შემკვრელი

100% სუფთა აკრილის პოლიმერული დისპერსია DIN 55945-ის მიხედვით.

შეფუთვა

Amphibolin: 2,5 ლ, 5 ლ, 12,5 ლ. Airfix: 25 ლ. Hobbock

ColorExpress: 1,25 ლ, 2,5 ლ, 5 ლ, 7,5 ლ, 12,5 ლ.

ფერი

თეთრი

Amphibolin-ის შეფერადება შესაძლებელია CaparolColor Vollton-ის და AmphiColor Vollton-ის - ყველა ფერის ტონალობებით.

CAPAROL

Amphibolin-ის შეფერადება შესაძლებელია CaparolColor Vollton-ის ან AVA – Amphibolin - ის ხელის კოლორანტებით. ისეთი არაშემწოვი ზედაპირებისათვის, როგორიცაა მყარი პოლივინილქლორიდი, ან მოთუთიებულ ი ზედაპირები, შეაფერადეთ მაქსიმუმ 10 % AmphiColor-ით, ან CaparolColor-ით. ერთზე მეტი შეფუთვის ხელით შეფერადებისას, გამოყენებამდე ყველა შეფუთვა შეურიეთ ერთმანეთს, რათა თავიდან იქნას აცილებულ ფერთა შორისი სხვაობა. Amphibolin შეიძლება შეფერადდეს ასევე მანქანური მეთოდით, ColorExpress-ის სისტემაში მოცემულ ყველა ფერზე, რომელთა სიღიავის კოეფიციენტი არ აღემატება 70-ს. შეფერადებული შეფუთვა შეამოწმეთ ადგილზე, რათა შემდგომში არ მოხდეს ფერთა შორისი სხვაობა. შეფერადებული საღებავით დიდი ზედაპირების შეღებვისას ყოველთვის გამოიყენეთ ერთი ჩარჯის ნომერით წარმოებული შეფუთვა.

ფერის მედეგობა საერთაშორისო სტანდარტ BFS-ის შესაბამისად (ინფორამაცია N.26):

კლასი: A

ჯგუფი: 1–3, ფერების შესაბამისად.

სიპრიალის ხარისხი

ნახევრად მქრქალი, კლასი: G2 - DIN EN 1062-ის შესაბამისად.

შენახვის პირობები

შეინახეთ გრილ პირობებში, მოარიდეთ ყინვას.

ტექნიკური პარამეტრები

მახასიათებლები DIN EN 13 300-ის მიხედვით

კოლირების შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს უმნიშვნელო აცდენა ტექნიკურ პარამეტრებთან

- სველი მოხეხვისადმი მედეგობა - კლასი 1
- კონტრასტის კოეფიციენტი: ფარვადობა კლასი 2, 8 მ²/ლ - დატანით

მახასიათებლები DIN EN 1062:-ის მიხედვით

ნაწილაკების მაქსიმალური ზომა:	(< 100 µm)
სიმჭიდროვე:	დაახლ. 1,4 g/სმ3
მშრალი ფენის სისქე:	50–100 µm, Klasse: E2
დიფუზიურობის კოეფიციენტი sdH2O:	> 50 მ, კლასი: C1
წყლის შეღწევადობა (w-ფაქტორი):	≤ 0,1 [კგ/(მ2 · h0,5)], კლასი: W3 (დაბალი)
ორთქლდიფუზიურობა(sd-ფაქტორი):	(≥ 0,14 m–≤ 1,4), კლასი: V2 (საშუალო) კოლირების შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს უმნიშვნელო აცდენა ტექნიკურ პარამეტრებთან

დამხმარე პროდუქტები

CapaSol RapidGrund, OptiSilan TiefGrund, CapaGrund Universal, HaftGrund EG

შენიშვნა

ჩვენმა ლაბორატორიულმა გამოცდებმა მინის ფირფიტებზე გვაჩვენა, რომ Amphibolin-ში სველი ადჰეზიის გამაძლიერებელი დანამატების შემცველობის წყალობით, წყლის ექსტრემალური დატვირთვის შემთხვევაშიც კი, არ ხდება შემკვრელის გაფუება, რაც განაპირობებს ზედაპირის ხანგრძლივ დაცვას ამობერვასა და აქერცვლისგან.





ნიმუშები მარცხნივ - ჩვეულებრივი დისპერსიული საღებავი. ნიმუშები მარჯვნივ - Amphibolin.

გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია N. 606 - ის მიხედვით.

Amphibolin:

ინტერიერი 1	ინტერიერი 2	ინტერიერი 3	ექსტერიერი 1	ექსტერიერი 2
+	+	+	+	+
(–) არ არის შესაფერისი / (○) შეზღუდულად შესაფერისი / (+) შესაფერისი				

გამოყენება

ზედაპირის მომზადება

ზედაპირი უნდა იყოს მშრალი, სუფთა და თავისუფალი ადჰეზიური ნივთიერებებისაგან

<u>გარე ზედაპირები:</u>

PII და PIII-ის ჯგუფის ცემენტის ხსნარის ბათქაშები ახალი ბათქაშები:
შემდგომ დამუშავებამდე კარგად უნდა გაშრეს, 20 C ჰაერის ტემპერატურისა და 65%-იანი ტენიანობის პირობებში, როგორც წესი 2 კვირა. არასათანადო ამინდის პირობებში, მაგალითად წვიმა და ქარი, გაშრობის დრო შესაბამისად იზრდება. P I, P II და P III, ბათქაშებზე დამატებით გრუნტის CapaGrund Universal-ი გამოყენებით ზედაპირზე მარილების გამოსვლის რისკები მცირდება და შემდგომი დამუშავებისთვის ზედაპირი მზადაა უკვე 7 დღეში.

ძველი ბათქაში:
ფითხით განახლებული ზონები კარგად უნდა შეიკრას და გაშრეს. ფოროვანი, შემწოვი და ცარცვადი ზედაპირები დაიგრუნტოს OptiGrund-ით ან CapaSol LF-ით. მაღალ დონეზე შემწოვ და ძალიან ცარცვად ზედაპირებზე გამოიყენება გრუნტი Dupa-grund-ი. PII ჯგუფის მსუბუქი ინერალური ბათქაშები დაფარეთ Sylitol® -ით ან AmphiSilan- Werkstoffen-ით.

მინერალური მსუბუქი თაბაშირი 2,5 ნ/მმ2-მდე კომპრესიული სიმტკიცით, დაფარეთ Sylitol®-ით ან Siliconharz-Werkstoffen-ით.

ბეტონი:
ბეტონის ზედაპირზე არსებული ქუჭყი და ცარცვადი, ქვიშიანი ნივთიერებები მოაცილეთ მექანიკურად, ან წყლის მაღალი ჭავლის მიფრქვევით, შესაბამისი ნორმების დაცვით. სუსტად შემწოვი, ან გლუვი ზედაპირები საჭიროა ჯერ დაიგრუნტოს Amphibolin-ის არა უმეტეს 5 % წყლით შეზავებული საგრუნტავი მასალით. ძლიერად შემწოვი ზედაპირი საჭიროა ჯერ დაიგრუნტოს OptiGrund-ით ან CapaSol LF-ით. ცარცვადი ზედაპირი უნდა დაიგრუნტოს Dupa-grund-ით.

ცემენტ-ბოჭკოვანი ფილები დანაფარის გარეშე:
გლუვი, სუსტად შემწოვი ფილები დაგრუნტეთ Dupa-Haftgrund-ით. ქვიშიანი, ცარცვადი და მარტივად შემწოვი ფილები დაგრუნტეთ Dupa-grund-ით. დემონტირებული ფილები მთლიანად დაამუშავეთ წიბოების და უკანა მხარის ჩათვლით. აზბესტის ბოჭკოების შემცველი ფილების შემთხვევაში დაცული უნდა იქნას TRGS 519 ნორმატივი. ახალი, ტუტე თვისებების მქონე ბოჭკოვანი ცემენტის ფილები, მარილის გამოჟონვის თავიდან ასაცილებლად, საჭიროა ჯერ დაიგრუნტოს Disbon 481 EP-Uniprimer - ით. ცემენტ- ბოჭკოვანი ფილები სილიკატური დანაფარით მაგალითად: მინა-ფილები შემოწმდეს დანაფარის მზიდუნარიანობა და დაიგრუნტოს Disbon 481 EPUniprimer-ით.

ცემენტ-ნახერხის ფილები:
ტუტის მაღალი შემცველობის გამო წინასწარ უნდა დაიგრუნტოს კირის მარილებისგან დამცავი Disbon 481 EP-ით.

ლაქით ან საღებავით დაფარული მზიდი ზედაპირები:
პრიალა, დალაქული და ემალირებული ზედაპირები გააუხეშეთ.დაბინძურებული, ცარცვადი ძველი დანაფარები გარეცხეთ ხელით, წყლის მაღალი ჭავლის მიფრქვევით, ან სხვა საშუალებებით, სათანადო წესების დაცვით. დაგრუნტეთ მაქსიმუმ 5 % წყლით გაზავებული Amphibolin-ით.

ძველი ელასტიური დისპერსიული საღებავით დაფარული მზიდი ზედაპირები, მაგალითად: Cap-elast-ის სისტემის მასალით დაფარული ზედაპირი:
დაბინძურებული, ცარცვადი ძველი დანაფარები გარეცხეთ ხელით, წყლის მაღალი ჭავლის მიფრქვევით, ან სხვა საშუალებებით, სათანადო წესების დაცვით. კარგად გააშრეთ. ასეთი დანაფარების მქონე ზედაპირებზე სასურველია Amphibolin-ის მხოლოდ თეთრი, ან პასტელური ფერის დატანა.

ხელოვნურ-ფისოვანი მზიდი ბათქაშები:
ძველი ბათქაშები გაწმინდეთ შესაბამისი მეთოდით. სველი გაწმენდა განახორციელეთ მხოლოდ შესაბამისი ნორმების დაცვით. ზედაპირები შემდგომი სამუშაოებისათვის კარგად გააშრეთ. დაგრუნტეთ მაქსიმუმ 5 % წყლით გაზავებული Amphibolin-ით.

ემალით, ლაქით, დისპერსიული საღებავებით და ხელოვნური ფისის ბაზაზე არსებული ბათქაშებით დაფარული არამზიდი ზედაპირები:
მთლიანად მოშორდეს მექანიკური, ან ქიმიური მეთოდით და მოირეცხოს წყლის მაღალი ჭავლის მიფრქვევით, შესაბამისი წესების დაცვით. შემდგომ დაგრუნტოს მაქსიმუმ 5 % წყლით გაზავებული Amphibolin-ით. ძლიერად შემწოვი, ქვიშიანი ზედაპირები დაიგრუნტოს Dupa-grund-ით.

მინერალური დანაფარების მქონე არამზიდი ზედაპირები:
მთლიანად მოცილდეს მექანიკური საშუალებებით, მოირეცხოს წყლის მაღალი ჭავლის მიფრქვევით, შესაბამისი ნორმების დაცვით და კარგად გაშრეს შემდგომი დამუშავებისათვის. დაიგრუნტოს Dupa-grund-ით.

დაუმუშავებელი მყარი ხე:
ახალი ხის ზედაპირიდან მოცილდეს გამოსული ფისის ნარჩენები. ტროპიკული ჯიშის ხის ზედაპირი, ფისის მაღალი შემცველობის გამო გაირეცხოს ნიტროგამხსნელებით. ძველ ხის ზედაპირი დამუშავდეს - ხის საღ ფენებამდე. ფოთლოვანი ჯიშის ხის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 12 %-ს, წიწვოვანი ჯიშის - 15 % -ს.
დასაგრუნტათ გამოიყენეთ Capalac Holz-Imprägniergrund-ი.

მოთუთიებული ზედაპირები:
გასუფთავდეს საერთაშორისო ნორმა BFS საინფორმაციო ფურცელი N.5 -ის შესაბამისად. დაგრუნტეთ მაქსიმუმ 5 % წყლით გაზავებული Amphibolin-ით. ფერად მოთუთიებულ ზედაპირებზე მაღალი ტენიანობის ზემოქმედების შედეგად შესაძლოა გაჩნდეს მოთეთრო ლაქები, რომელიც უნდა მოცილდეს მშრალი მეთოდით და წაესვას Amphibolin-ის დამატებითი ფენა.

მყარი პოლივინილ ქლორიდი (PVC):
გაწმინდეთ და გააუხეშეთ ზედაპირი. დაგრუნტეთ მაქსიმუმ 5% წყლით გაზავებული Amphibolin-ით.

პოლიმერული დანაფარები (Coil-Coating):
ზედაპირი დაამუშავეთ ნიშადურის ხსნარით. დაგრუნტეთ Amphibolin-ით. ყურადღება: სილიკონის შემცველი Coil-Coating-ის დანაფარები არ იღებება! მშენებლობაზე ასეთი ზედაპირების აღმოჩენის სირთულის გამო, ყოველთვის უნდა გაკეთდეს საცდელი დატანა ადჰეზიის ხარისხის დასადგენად.

კერამიკული და მოსაპირკეთებელი მასალა:
მოსაპირკეთებელი ქვა უნდა იყოს ყინვაგამძლე, ხოლო კლინკერი - ჩანართების გარეშე. მოსაპირკეთებელ აგურებს შორისი ნაწიბურები არ უნდა იყოს დაბზარული, მარილიანი და უნდა იყოს მშრალი. დაიგრუნტოს მაქსიმუმ 5 % წყლით გაზავებული Amphibolin-ით. Amphi-bolin-ით დაფარულ ზედაპირზე ყავისფერი ლაქების გაჩენის შემთხვევაში ზედაპირი უნდა გადაიღებოს Duparol-ის ფასადის საღებავით.

ინდუსტრიული გაზებით დაბინძურებული ან ქვარტლიანი ზედაპირები:
დაფარეთ Duparol-ის ფასადის საღებავით.

სოკოვანი დაბინძურების მქონე ან წყალმცენარიანი ზედაპირები:
გაიწმინდოს წყლის ჭავლის მიფრქვევით, შესაბამისი ნორმების დაცვით.მოირეცხოს Capatox-ით, ან FungiGrund-ით. ზედაპირის ხელახალი დაზიანებისგან თავის დასაცავად რეკომენდირებულია დამასრულებელ ფენად Amphibolin-W.-ით შეღებვა.

დაბზარული ბათქაშები და ბეტონის ზედაპირები:
დაფარეთ Cap-elast-ით.

მარილიანი ზედაპირები:
მარილებისგან გაიწმინდოს მშრალად, ჯაგრისის გამოყენებით. დაიგრუნტოს Dupagrund-ით. საბოლოო დანაფარი არ იძლევა ხანგრძლივი ეფექტურობის გარანტიას მარილების შესაძლო განმეორებითი გაჩენის გამო, რაც იწვევს ადჰეზიის გაუარესებას დანაფარის ქვეშ.

დეფექტების მქონე ზედაპირები:
მცირე დეფექტები დაამუშავეთ Caparol Fassaden-Feinspachtel-ით. 20მმ-მდე დეფექტებისთვის გამოიყენეთ Histolith-Renovierspachtel-ი. შერემონტებული ადგილები დაიგრუნტოს.

<u>**შიდა ზედაპირები:**</u>

PII და PIII-ის ჯგუფის ცემენტის ხსნარის ბათქაშები/კომპრესიული სიძლიერე DIN EN 998-1 შესაბამისად არანაკლებ B 1,5 N / mm2:
მყარი, კარგად შემწოვი ბათქაშები შეღებეთ წინასწარი დამუშავების გარეშე. ფოროვანი, ცარცვადი შემწოვი ბათქაშები დაგრუნტეთ CapaSol RapidGrund-ით ან OptiSilan TiefGrund-ით.

PIV ჯგუფის ცემენტის ხსნარების თაბაშირი და მზა ბათქაშები/კომპრესიული ძალა DIN EN 13279 შესაბამისად არა ნაკლებ 2 N / mm²:
დაიგრუნტოს OptiSilan TiefGrund-ით. თაბაშირის ბათქაშები არასწორი ზედაპირით გაშლიფეთ, გაწმინდეთ მტვრისგან და დაგრუნტეთ Dupa-Putzfestiger -ით.

თაბაშირ-ბოჭკოვანი ფილები:
შემწოვ ფილებზე წაუსვით OptiGrund-ი, ან Caparol-Tiefgrund TB-ი.

თაბაშირ-მუყაოს ფილები:
ფითხი გაშლიფეთ. რბილი და გაშლიფული ადგილები გაამყარეთ Caparol Tiefgrund TB-ით. პიგმენტური, წყალში ხსნადი ნივთიერებების შემცველი ფილები დაგრუნტეთ AquaSperGrund-ით.

ბეტონი:
მოაცილეთ ცარცვადი, ქვიშიანი ნივთიერებები.

კირი და აგური/კრამიტი:
შეღებეთ წინასწარი მომზადების გარეშე.

მყარი მზიდი დანაფარები:
მქრქალი, სუსტად შემწოვი ზედაპირები შეღებეთ დაუმუშავებლად. პრიალა, ლაქით და ემალით დაფარული ზედაპირები გაშლიფეთ და დაამუშავეთ HaftGrund EG-თი.

არამზიდი დანაფარები:
ხელოვნური ფისის თაბაშირები, ლაქისა და დისპერსიული საღებავების დანაფარები მოაშორეთ სრულად. სუსტად შემწოვი, გლუვი ზედაპირები დაგრუნტეთ OptiSilan TiefGrund-თი. მსხვილ ფოროვანი, ცარცვადი, შემწოვი ზედაპირები დაგრუნტეთ CapaSol RapidGrund-ით. მინერალური საღებავების არამზიდი დანაფარები მექანიკურად მოაცილეთ და გაწმინდეთ მტვრისგან. დაგრუნტეთ Dupa-Putzfestiger-ით.

დანაფარები წებოვანი საღებავით:
საფუძვლიანად ჩამორეცხეთ. დაგრუნტეთ Dupa-Putzfestiger-ით

რელიეფური, ბოჭკოვანი ან ტვიფრული ქაღალდის შეუღებავი შპალერი:
შეღებეთ წინასწარი მომზადების გარეშე.

არამზიდი შპალერი:
მთლიანად მოაშორეთ, მორეცხეთ და გაასუფთავეთ ნარჩენებისგან. დაგრუნტეთ Dupa-Putzfestiger-ით.

ხავს-მოდებული და სოკოთი დაზიანებული ზედაპირები:
ობით და სოკოთი დაზიანებული ადგილები გაწმინდეთ წყლით. ჩამორეცხეთ Capatox-ით ან FungiGrund-ით და კარგად გააშრეთ. დაგრუნტეთ ზედაპირის სახეობის და თვისებების შესაბამისად. განსაკუთრებით დაზიანებულ ზედაპირებზე დამასრულებელ ფენად წაუსვით Indeko-W, Malerit-W ან Fungitex-W.

ზედაპირები ნიკოტინის, წყლის, ჭვარტლის და ცხიმიანი ლაქებით:
ნიკოტინით, ჭვარტლით და ცხიმით დაბინძურებული ზედაპირები ჩამორეცხეთ ცხიმის მოსაშორებელი საშუალებით (მაგალითად ჭურჭლის სარეცხი საშუალება), შემდგომ კარგად გააშრეთ. გამშრალ ზედაპირზე შემორჩენილი წყლის ლაქები გახეხეთ და გაწმინდეთ. პირველი ფენა წაუსვით Caparol AquaSperrgrund. ძლიერ დაბინძურებულ ზედაპირებზე. დამასრულებელ ფენად გამოიყენეთ Caparol Aqua-inn Nº1-ი.

ხის ზედაპირები:
წაუსვით წყალდისპერსიული, ეკოლოგიურად უსაფრთხო Capacryl Acryl-ის ლაქები ან Capacryl PU-ის ლაქები. დაგრუნტეთ Holz-IsoGrund-ით.

მცირე დეფექტები:
გამოასწორეთ Caparol-Akkordspachtel-ით და შემდგომ დაგრუნტეთ.

დატანის მეთოდები

შესაძლებელია დატანილ იქნას ფუნჯით, სამღებრო გორგოლაჭით და საჰაერო, ან უჰაერო(Airless) მიფრქვევით.

მითითებები მიფრქვევით დატანისას:

უჰაერო მიფრქვევა (Airless)	
წნევა მიფრქვევისას	150 - 180 bar
ნახვრეტის სისქე (Inch)	0,017" - 0,021"
მიფრქვევის კუთხე	50°
ფილტრი (MW)	0,031მმ
გაზავება	5% წყალი
Nespri-Gerät*	
ნახვრეტის სისქე (Inch)	0,016" - 0,019" ორმაგი ნახვრეტი
წნევა მიფრქვევისას	წინასწარ დარეგულირებული

დაფარვის სტრუქტურა

საგრუნტავი და შუალედური ფენები:
მაქსიმუმ 5 % წყლით გაზავებული Amphibolin-ი.

დამასრულებელი ფენა:
Amphibolin გაუზავებლად, ან მაქსიმუმ 5% წყლით გაზავებული. ხაოიან ზედაპირებზე - საგრუნტავი, შუალედური და დამასრულებელი ფენა, არა უმეტეს 5% წყლით გაზავებული Amphibolin-ით.

ხარჯი	ერთ ფენაზე დაახლოებით 120 მლ/მ2 გლუვი ზედაპირებისათვის. უხეშ ზედაპირზე ხარჯი შესაბამისად იზრდება. ზუსტი ხარჯი განისაზღვრება საცდელი დატანის გზით.
გამოყენების პირობები	**მინიმალური ტემპერატურა გამოყენებისა და შრობის პროცესში:** ჰაერისა და ზედაპირის მინიმალური ტემპერატურა უნდა იყოს +5 C.
შრობის დრო	20 C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი შემდგომი სამუშაოებისათვის მზადაა 4-6 საათში. 24 საათში მედეგია წვიმის მიმართ. საბოლოოდ გამშრალი და დატვირთვისუნარიანი კი დაახლ. 3 დღეში. უფრო დაბალი ტემპერატურის შემთხვევაში შრობის დრო იზრდება.
ხელსაწყოების წმენდა	სამუშაოს დასრულებისთანავე ხელსაწყოები გაწმინდეთ წყლით.
მითითება	გადაბმის ადგილების ზოლოვან ლაქებად გამოჩენის თავიდან ასაცილებლად პროდუქტი დატანილ უნდა იქნას ერთი მოსმით - " სველი-სველზე" მეთოდით. არ დაიტანოთ წყლით დატვირთვის მქონე ჰორიზონტალურ ზედაპირებზე. უჰაერო მიფრქვევისას საღებავი კარგად აურიეთ და გაატარეთ საცერში. სპეციფიკურ, ან არასტანდარტულ კლიმატურ პირობებში (მაგ: მაღალი ტენიანობა) არსებული ფასადები შესაძლებელია დაბინძურდეს სოკოთი და წყალმცენარეებით, ამიტომ დასატანად რეკომენდირებულია ჩვენი სპეციალური პროდუქტები: ThermoSan NQG, Amphibolin-W ან Duparol-W, რომლებიც შეიცავს ფუნგიციდურ და წყალმცენარეებისგან დამცავ ნივთიერებებს. მუქ ფერებში კოლირებისას, ისევე როგორც ყველა მქრქალი საღებავის შემთხვევაში, მექანიკური დაზიანება იწვევს ზედაპირზე კვალის გაჩენას, შედარებით ღია ზოლებად. არახელსაყრელი ამინდის (წვიმა, ნისლი) პირობებში შეღებვისას, შენელებული შრობის გამო, ზედაპირზე შესაძლოა გამოიჟონოს პიგმენტირებული, ან გამჭვირვალე, ნახევრად-პრიალა წებოვანი ლაქები, რომლებიც წვიმის ზემოქმედებით, დროთა განმავლობაში თავისით ქრება. ეს არ იმოქმედებს გამშრალი საღებავის ხარისხზე! თუ ასეთ პირობებში აუცილებელი ხდება ცალკეული ზონების შერემონტება, არსებული ლაქები კარგად დასველდეს წყლით და სრულად მოიწმინდოს, შემდეგ დაიგრუნტოს Grund Universal-ით. პროდუქტის სტანდარტულ კლიმატურ პირობებში გამოყენებისას ზემოთხსენებული ლაქები არ ჩნდება.

შენიშვნები

უსაფრთხოების რჩევები	<u>**თეთრი + ბაზა 1:**</u> მოარიდეთ ბავშვებს! თვალები და კანი დაიცავით საღებავის შხეფებისგან. თვალში ან კანზე მოხვედრისას გულდასმით დაიბანეთ წყლით. არ შეისუნთქოთ საღებავის დატანის დროს წარმოქმნილი ღრუბელი. გადაყლაპვის შემთხვევაში არ გამოიწვიოთ ხელოვნურად პირღებინება. მაშინვე მიმართეთ ექიმს და აჩვენეთ შეფუთვა, ან ეტიკეტი. **შეიცავს:** 1,2-ბენზიზოთიაზოლ-3(2H)-ონი, 5-ქლორო-2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონის და 2 მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონის სარეაქციო მასა (3:1). შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია. <u>**ბაზა 2:**</u> მოარიდეთ ბავშვებს! თვალები და კანი დაიცავით საღებავის შხეფებისგან. თვალში ან კანზე მოხვედრისას გულდასმით დაიბანეთ წყლით. არ შეისუნთქოთ საღებავის დატანის დროს წარმოქმნილი ღრუბელი. გადაყლაპვის შემთხვევაში არ გამოიწვიოთ ხელოვნურად პირღებინება. მაშინვე მიმართეთ ექიმს და აჩვენეთ შეფუთვა, ან ეტიკეტი. **შეიცავს:** 1,2-ბენზიზოთიაზოლ-3(2H)-ონი, 2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონი, 5-ქლორო-2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონის და 2-მეთილ-2H-ის სარეაქციო მასა. იზოთიაზოლი -3-ონ (3:1). საფრთხე! მიფრქვევისას შესაძლოა წარმოიქმნას სასუნთქი გზებისთვის საშიში აირები. არ შეისუნთქოთ საღებავის დატანის დროს წარმოქმნილი ღრუბელი <u>**ბაზა 3:**</u> მოარიდეთ ბავშვებს! ექიმის კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, თან იქონიეთ შეფუთვა ან ეტიკეტი. **შეიცავს:** 1,2-ბენზიზოთიაზოლ-3(2H)-ონი, 5-ქლორო-2-მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონის და 2 მეთილ-2H-იზოთიაზოლ-3-ონის სარეაქციო მასა (3:1). შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქცია.
უტილიზაცია	მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი მასა შესაძლებლია უტილიზირებულ იქნას როგორც წყალდისპერისული საღებავის დანაკარგი, გამხმარი ნარჩენი კი - როგორც გამხმარი საღებავი ან სამშენებლო ნაგავი.

VOC
(აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად)

თეთრი + ბაზა 1: პროდუქტის კატეგორია (Kat. A/a): 30 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქს. < 2 გ/ლ VOC -ს.
ბაზა 2: პროდუქტის კატეგორია (Kat. A/c): 40 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქს. 1 გ/ლ VOC-ს.
ბაზა 3: პროდუქტის კატეგორია (Kat. A/a): 30 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქს. 1 გ/ლ VOC-ს.

პროდუქტის კოდი
საღებავები/ლაქები

GISCODE: BSW20

ტექნიკური კონსულტაცია

მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

შპს კაპაროლ ჯორჯია
ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge